„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სარაჯოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ Редакцію „Дроэба“.

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათის გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე რვა კაპ; განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

„Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и за границы принимаются только въ цент. конторѣ объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

## შესანიშნავი მუზეუმი ვინტერისა.

პატივის ცემით ვაცნობებ თბილისის საზოგადოებას, რომ ნოემბრის 8-დამ მუდამ დღეს, დილის 10 საათ. საღამოს 11-მდის გახსნილი იქმნება სახელ-განთქმული სრულიად ევროპაში და რუსეთში ვინტერის მუზეუმი. ჩემი მუზეუმი დიდად წინა დგას და შეუდარებლად უკეთესია სხვა მუზეუმებზე, რაშიაც მნახველნი დარწმუნდებიან ადვილად.



მუზეუმში არის შემდეგი განყოფილებანი: I. მეხანიკური კაბინეტი და თაფლის სანთლის ფიგურები. II. საუკეთესო სურათები: შესანიშნავის ქალაქებისა და უკანასკნელის რუს-ოსმალოს ომიანობისა.

III. დიდი კოლექცია ავტომატებისა, პარიჟის გამოფენაზე შექმნილნი, IV. ისპანიის ინკვიზიცია.

ფასი შესვლისა 40 კ., ბავშვები 10 წლისა და სამხედრო მდაბალის ჩინისანი იხდიან 20 კაპ.

იმედი მაქვს, პატივცემული საზოგადოება კეთილ-ინებებს მობრძანებას ჩემს მუზეუმში. (2—1)

## შინაური ქრონიკა

— ერთის ქართლის მემამულესაგან, ბ. ი. სულხანოვისაგან, რომელიც სოფ. ტირძნისში (გორის მაზრა) სცხოვრობს და დიდი-ხანია სოფლის მეურნეობას მისდევს, შემდეგი წერილი მივიღეთ ჩვენს გაზეთში დასაბეჭდად:

„იმედი მაქვს, გვწერს ხსენებული მემამულე, მომცემთ საშუალებას თქვენის გაზეთის შემწეობით გულითადი მადლობა განვუცხადო კავკასიის სამხედრო ინტენდანტსტვოს უფროსს ბ-ნ მ. ა. სარანჩოვს, რომელმაც თორმეტი ფუთი კვიშნის თესლი (гречиха) გამომიგზავნა ჩემს მამულში დასათესად.

«ეს თესლი წარსულს გაზაფხულს დავთესე სარწყავს მიწაში, და ძალიან კარგად იხეირა გამოსავალითაც საშუალო გამოსავალზედ მეტი გამოვიდა.

«თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ეს მცენარე დიდს საჭიროებას შეადგენს რუსეთის ჯართათვის და რომ ამ კვიშნას ათი ათასი ფუთობით იწერენ რუსეთიდან სამხედრო დაწესებულებანი ბურღულად, უნდა ვსთქვათ, რომ ამ მცენარის კულტურა დიდს სარგებლობას მისცემს ჩვენს თანამემამულეებს.

«ამასთანავე დავსძინებ, რომ ვინც კი ისურვებს ამ მცენარის წარმოებას, მე დიდის სიამოვნებით აუხსნი და გავაცნობ, რა წესით უნდა შემუშავდეს იგი.

— «წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას», რომელსაც მხოლოდ თავის სკოლებისთვის ჰქონია გამოწერილი რამდენიმე ეგზემპლიარი ქართულის პედაგოგიურის ჟურნალის «ნობათი»-სა, დღეს მიუღია უსასყიდლოდ თავის ბიბლიოთეკისათვის უკვე დაბეჭდილი ნომრები „ნობათი“-სა ამ ჟურნალის რედაქციისაგან.

— ბორიდამ გვწერენ: «ბორის რკინის-გზის საქონლის საწყობს მალაზიაში, მიიღებს თუ გაგზავნის კაცი საქონელს, სტანციის მუშამ უნდა ორი კაპეიკი აილოს ცალზედ—შესატან-გასატანი ფასიაო. საწყალ გლეხს მოუტანია ესთქვათ რამდენიმე ტომარა ფქვილი, ანუ ხილი კალათებით. მას ნებას არ მისცემენ ურმიდამ თითონ შეიტანოს და ჩააბაროს ამწონს; თითონ უნდა გარედ მოიცადოს და მუშა ხომ ყველას ვერ გასწვდება, გლეხიც ეხმარება და ამ ორ კაპეიკს-კი იხდის მაინც. ეხლა ცალკე აგენტები იღებენ (за нагрузку и выгрузку)—$1\frac{1}{2}$ კ. და ამ გვარს წესზე ხალხი ხმას ვერ იღებს. ეშინიანთ, ვაი, თუ უფრო ჯიბრში ჩაგვიდგნენ და თავის დროზე ვერც გავგზავნოთ და ვერც მივიღოთ საქონელიო».

— სოფ. სვირიდამ (ქუთაისის მაზრა) გვწერენ: «ამ ოთხი წლის წინად ქუთაისის ზოგიერთ მაზრებში დაწესდა ხევის-თავობა, რომელმაც ძალიან შეამცირა ქურდობა. თვითოეული საზოგადოება ირჩევდა 15-30-მდე კაცს სამის წლის ვადით; ამ ხნის განმავლობაში საზოგადოებას უნდა ეძლია მათთვის გადაწყვეტილი ჯამაგირი. ხევის თავების არჩევაში და მათთვის ხარჯის გამოღებაში მონაწილეობა უნდა მიეღოთ, როგორც გლეხთ, აგრეთვე თავად-აზნაურობასაც. ამ ხევის თავებს უნდა შეედგინათ პირუტყვთ სია მთლად საზოგადოების მცხოვრებთა და იმ პირუტყვს, რომელიც სიაში ეწერებოდა, პატრონი მამასახლისისაგან შეუმოწმებელად ვერ გაჰყიდდა. ხევის თავები წარმოდგენილის მოწმობის ძალით ჩასწერდენ თავის სიაში ნასყიდს პირუტყვს. თუ რაიმე საქონელი დაიკარგებოდა—ხევის თავებს ან უნდა მოეძებნათ და ან უნდა გადაეხადათ თავისი ჯამაგირით. უმოწმობოდ ნასყიდი საქონელი ჩამოერთმეოდა მსყიდველს და პასუხის გებაშიც მიეცემოდა.

«მაგრამ ამ კეთილს საქმეს მალე მოელო ბოლო, რადგან ხევის თავებმა შეასრულეს თავისი ვადა, და ჯამაგირი კი წესიერად ვერ მიიღეს. ეხლა ჩვენს მაზრაში შემოიღეს, ხევის თავობის სამაგიეროდ, სხვა წესი შემდეგის პირობებით: ყოველმა საზოგადოებამ უნდა გააკეთოს თითოეულ სოფლის პირში მცველთა ქოხები და თვითოეულს ქოხში უნდა იქნეს ექვს-ექვსი კაცი მცველად დღე და ღამ, მიუცილებლად, რომელთაც თვალყური უნდა ადევნონ ქურდსა და ავა-

---

«დროების» ფელეტონი, ნოემბ. 8-ს

## მოხუცებული მღვდელი

(ფრანცუზულიდგან.)

ხელ-ახლად წანწალი, ხელ-ახლად ძებნა თავ-შესაფარისა! მრავალმა საუკუნემ განვლო მას შემდეგ, რაც ისინი გარდაასახლეს ეგვიპტეში, ქანაანში, რაც ამათ გამოიარეს ბაბილონის ტყვეობა, დევნა ნემეცების ქალაქებში და სხვა და სხვა სატანჯველი. ბოლოს ძლივს მიაღწიეს აღმოსავლეთსა და ეგონათ რომ აქ ჰპოვეს თავის სამშობლო. ისინი სიამოვნებდენ იმ იმედით, რომ შეიძლებდენ ცხოვრებას ისე, როგორც სხვა ხალხნი ცხოვრობენ, შეიძლებდენ ბრძოლას თავის სიცოცხლისათვის, შრომას თავისის ოფლით და, რომ რასაკვირველია, ამას იმათ არავინ დაუშლიდა. დიაღ, ეს ნეტარებაა უბედურ და ყველასგან დევნილ ხალხისათვის! როგორის ერთგულებით სწირავდენ ისინი თავის სიცოცხლეს თავის მახლობელთათვის, რა რიგის სიყვარულით იხუტებდენ შრომით გამხდარ თავის გულზედ თავის მშრომელ ცოლებს და თავის დაჩაგრულ შვილებს. ისინი თითქო გრძნობდენ, რომ იმათი მშვიდობიანობა არ იყო ხანგრძლივი, რომ ისინი მაინც-და-მაინც უცხონი იყვნენ იმ უშველებელ დედა-მიწის ზურგზედ, რომელზედაც, ვგონებ, ყველანი მოთავსდებოდენ და, რომ მოვა ის დრო, როდესაც ვისიმე სასტიკი ხელი ამოგლეჯს და აღმოფხვრის მიწიდან ამ ფესვს, რომელმაც გამოიღო მწვანე შტო და ეს დრო მართლადაც მოვიდა.

ერთხელ ბრიყვი და უგრძნობელი გროვა ხალხისა დაეცა იმ მიყრუებულს ქუჩას, სადაც ისინი სცხოვრებდენ მეტის-მეტად შევიწროებულნი და რამდენსამე წუთს მიანგრ-მოანგრიეს მათი სადგომები, დახოცეს და დაამახინჯეს ისინი დიდით პატარამდე და ქალებიც გააუპატიურეს; სულ, რაც კი რამდენიმე ათი წლის განმავლობაში შეეკრიბათ საწყლებს თითო-ოროლი გროშობით, წაართვეს, ოჯახი აუკლეს და ქვა-ქვაზედაც არ დააგდეს, ისე მიაქც-მოაქციეს მათი სახლები. მხოლოდ სალდათებმა შეაყენეს ეს უგუნური და გაავთრებული გროვა. ისრაილთ შვილნი კი დარჩნენ გულხელ დაკრეფილნი თავის მინგრეულ მონგრეულ ბინაზედ და ერთი ერთმანეთს ეკითხებოდენ, რა ექნათ და ან სად წასულიყვნენ.

ვრცელი და ფართოა შემოქმედისაგან დაარსებული ქვეყანა, ისე რომ ერთი კუნჭული არ მოიპოება, რომელსაც არ ეხუროს ქვეყნიური საყოველთაო ჭერი—ცის კამარა. მხოლოდ ეს ჭერი-ღა დარჩა ნუგეშად უბედურ და განდევნილ ტომს. და აი, კიდევ შეუდგნენ გზას თავის გძელ სამგზავრო ყავარჯნებით.

სამწუხარო და მძიმე სურათს წარმოადგენდა ეს მოგზაურობა, რომელიც უფრო შემაწუხებელი და შემაძრწუნებელი იყო ვიდრე მათი უწინდელი განვლა უდაბნოში. ეხლა ყოველ ნაბიჯის გადადგმაზედ მათ ელოდათ ზიზღი, დევნა და შეურაცხ-ყოფა; საწყლებს არ მოეპოვებოდათ მეორე მოსე, რომელმაც კვერთხის ერთის დაკვრით გადმოადინა კლდეს წყალი. აი, ბოლოს მიუახლოვდენ გალიციის სამძღვარს, სადაც ისინი თავის თავს უშიშრად სთვლიდენ; მაგრამ მოულოდნელად იმათ წინ, თითქო მიწიდამ ამოძვრენ ჟანდარმები და საბაჟოს მცველნი, და ამ საწყალთ განდევნილებს სთხოვენ ბილეთებს, და უჩხრეკენ შენახულ და ძვირფასს საუნჯეს იმათ, ვინც ძლივს თავის სიცოცხლეს-ღა გადაარჩინა. ძლივს-ძლივობით, თავიანთ მოთმინების წყალობით, გადურჩნენ ამ ახალ დაბრკოლებასაც და, აი, კიდეც გადავიდნენ გალიციის სამძღვარსა.

გზაში ნახეს მათ ერთი მდიდარი სოფელი, რომლის ეკლესიის თითბრის ჯვარი მშვენივრად ბჭყვრიალებდა მზის შუქზედ. შეღებილი პატარა სახლები, ისე მოხდენილად და მშვიდობიანად გამოიცქირებოდენ, თითქო განგებ

ზაკს. ეს განკარგულება ძლიერ საძნელოა ხალხისათვის: სულ ცოტა რომ ვიანგარიშოთ თვითოეულს სოფელს, ხუთი ქოხი მაინც მოუნდება, თვითოეულს ქოხს კი ექვსი კაცი და მთელს სოფელს 30 კაცი დასჭირდება მცველად იმ ქოხებში. წარმოვიდგინოთ 30 კაცის მოცდენა ყოველს მუშა დღეს—რა ზარალს მოუტანს სოფელს...

«რა საჭიროა ამოდენი ზარალი მივსცეთ სოფელს, როდესაც ამ 30 კაცის მაგიერობას ერთი,—სულ ბევრი—ორი კაცი გასწევს. როგორც ადრე, ხევის თავების დროს, ამ ერთს ან ორს პირს მიენდოს შედგენა თვისის სოფლის პირუტყვთ სიისა. ესევე პირი, ან პირები, ადევნებენ თვალ-ყურს, რომ უმოწმობო საქონელი არც გასყიდულ იქმნას და არც შემოყვანილ მათს სახევისთაო სოფელში. ეს წესი უფრო ადვილი შესასრულებელიც არის და ბევრად ნაკლებ ხარჯსაც მოითხოვს».

═ ოქტომბრის თვის განმავლობაში ბაქოდამ გაუტანიათ 5,942,459 ფუთი ნავთის მასალა, აქედამ—2,143,468 ფ. კეროსინი, დაწმენდილი ნავთი 31,000 ფ. დაუწმენდელი ნავთი 65,158 ფ., წასასმელი ქონი და ბენზინი 22,067 ფუთი. (გაზ. «კასპ»).

═ ქალაქში ხმა ისმის, რომ თბილისის მართლ-მადიდებელს სემენარიაში სახადიაო (სოფლე, ხურება) გაჩენილებული («ნოვ. ობოზ.»)

═ გაზ „კავკაზში" დაბეჭდილია შემდეგი ოფიციალური ცნობა კავკასიაში „ქრისტიანობის აღმადგინებელ საზოგადოების" შესახებ: „უკანასკნელ დროს ადგილობრივ ჟურნალ-გაზეთებში სჩიოდენ და სამდურავს იწერებოდენ, რომ ამ საზოგადოების უწყების სამღვდელოებს და სოფლის სკოლების მასწავლებლებს თავის დროზე არ ეძლეოდათ ჯამაგირებიო. ამასთანავე ვრცელდებოდა ხმა, რომ მომავალში ეს სკოლები გაუქმდებიანო.

„ეს ხმა სრულიად უსაფუძვლო ხმა არის.

„მართალია, ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების მოწყობილობა ამ ახლო ხანში სრულიად შეიცვლება და მისი საქმეები გადაეცემა უწმინდესს სინოდს, ხოლო პირდაპირი უმართველი იქნება ეგზარხოსი საქართველოსი; მაგრამ სრულიად ის განზრახვა არა აქვთ, რომ ყველა „საზოგადოების" სკოლები გაუქმებულ იქმნას. რიცხვი ამ უკანასკნელთა, ახალის წესის შემოღების შემდეგ, დამოკიდებული იქმნება იმ ღონის-მიებაზედ, რომელიც სასულიერო მთავრობას მიეცემა ამ საგნისათვის.

„რაც შეეხება ჯამაგირების დაგვიანებას, ეს მართალია, მაგრამ ამ სამწუხარო გარემოების აცილება მხოლოდ მაშინ შეიძლება, როდესაც შესრულდება განზრახული ცვლილება საზოგადოების მოწყობილობისა და ახალს გამგეობას ამ საქმისას მიეცემა საკმაო საშუალება.

„დღეს საზოგადოების შემოსავალის წყაროები შემდეგია: განსაზღვრული შემწეობა მმართებლობისაგან, ყველა რუსეთის ეკლესიებში ყულაბებით მოგროვილი ფული, მცირეოდენი საწევრო გადასახადი და ყარაიაზის მამულების შემოსავალი.

მოხსენებულ წყაროთაგან შემოსული ფული არა ჰყოფნიდა ყოველ წლიურ ხარჯს გასასტუმრებლად და ამისათვის დაგვიანება ჯამაგირებისა აუცილებელი იყო. მუდამი საყვედური მწერლობისა ამ საგნის შესახებ სრულიად არაფერს უშველის საქმეს: როგორც მოვიხსენეთ, ეს მდგომარეობა მხოლოდ საზოგადოების მოწყობილობის შეცვლის შემდეგ გაუმჯობესდება.

„დროების" კორესპონდენცია

—

ფოთი. ოქტომბრის 29-ს. ბევრის ვაი-ვაგლახისა და ლოდინის შემდეგ, გაათავეს ჩვენის ნავთ-სადგურის კედლების ამოყვანა. ეხლა ნავთ-სადგური თითქმის სრულიად მზად არის, მხოლოდ თვით ბუხტას უნდა ამოწმენდა და დაღრმავება. ამისათვის საჭირო მაშინები და ბარჟები უკვე მიღებულია და ამ მოკლე ხანში დაიწყებენ მუშაობას ბუხტის სიღრმის მომატებისათვის. იმედი აქვთ, რომ ამ მუშაობას დიდ-ხანს არ მოუნდებიან. ესე, ერთის წლის განმავლობაში ნავთ-სადგური ყოვლად ფრიით მზად იქნება და ჩაჰბარდება მმართებლობას.

ეს არის მიზეზი, რომ დღეს ფოთში ყველა ხარობს და სიამოვნებით მოელის ჩვენის ქალაქის ვაჭრობის ხელ-ახლად განცხოველებას. ჩვენი გაჭირვების მიზეზი, როგორც მოგეხსენებათ, ნავთ-სადგურის უქონლობა იყო და რაკი ნავთ-სადგური გაიმართება, ბათუმი—ეს ჩვენი მეტოქე და საშიში მტერი, ველარას დაგვაკლებს.

რაც ბუხტის სიახლოვეს ცარიელი ალაგები იყო, სულ გაანაწილეს და დაურიგეს მსურველთ რამდენიმე წლის ვადით. აქ აპირობენ სხვა-და-სხვა გვარის წარმოებისათვის საწყობი ალაგები იქონიონ. ზოგი ნავთის საწყობის გამართვას ფიქრობს, ზოგი სიმინდისას და ზოგი შავი-ქვისას. ბევრმა უკვე დაიქირავა ეს ადგილები და აპირობს მიჰყოს ხელი თავის საქმეს—სამზღვარ გარეთ ზიდვას ყველა ზემოხსენებულ ნაწარმოებისას.

ხმა არის, რომ ის მიწები, რომლებიც ნობელმა აილო ბათუმში ნავთისთვის საწყობთა გასამართავად, მთავრობისთვის საჭირო აღმოჩნდენ და ისევ უკან ჩამოართვესო. ამ მიზეზით ნობელიც ფოთში აპირებს ადგილების დაქირავებას და თავის ვაჭრობის წარმოებასაო.

დასასრულ, ორიოდე სიტყვას ვიტყვით კიდევ ქალაქის საჭიროებაზედ. ურიგო არ იქნება, რომ ქალაქი ეხლავ შეუდგებოდეს რიონზედ ხიდის გაკეთებას და ქალაქს ბუხტას შეუერთებდეს. პიდრე ეს ხიდი არ გვექნება, ჩვენ ბუხტა იმ სარგებლობას სრულად ვერ მოგვიტანს, რა სარგებლობასაც მისგან გამოველით.

ხიდისათვის საჭირო მასალა შეიძლებოდა გვეშოვნა მმართებლობისაგან, რადგანაც მას ამ გვარი მასალა ფოთში ბევრი ჰქონდა და ბუხტის გამართვის დროს ხმარობდა; ეხლა ეს მასალა მათ აღარა სჭირდებათ, და ქალაქის მმართველებმა რომ ცოტაოდენი მეცადინეობა იხმარონ, იქნება მუქთადაც მოგვცენ. ეს მით უფრო მოსალოდნელია, რომ მთავარ-მმართებელი, აქ ყოფნის დროს, ამ საგნის შესახებ შემწეობასა და მთავრობის წინაშე შუამდგომლობას დაგვპირდა. ეს იმედიც რომ არ გაგვიმართლდეს და ხიდი მუქთად არ მოგვეცეს, სყიდვით მაინც მოგვყიდიან და ნებას მოგვცემენ, რომ ვალის გადახდა წვრილ-წვრილად მოვიხერხოთ რამდენსამე წლის გინმავლობაში.

ვცადოთ, იქნებ მუქთადაც გვაძლევენ. ცდა ბედის მონახევრეაო. თუ არ მოგვცემენ, ყბას ხომ არ მოგვტეხენ!!

ქუთაისის ალექსანდრეს სააზნაურო სასწავლებლის განყოფილების გახსნა და კურთხევა სამეგრელოში, დ. ძველ სენაკში 1884-ს წ. ოქტომბრის 28.

(დასასრული*)

ბ. ს. ყიფიანის სიტყვაში უმთავრესად ის აზრი იყო გატარებული, რომ საზოგადოება, თუ მართლა გულითად თანაუგრძნობს სკოლას, თუ

(* იხილე «დროება» № 241.

დახატულნი არიანო. ბარს წალკოტივით ხილის ბაღები ერტყათ. მოგზაურებმა მიაღწიეს საყდრამდინ და ჭასთან დაბინავდენ დასასვენებლად. ბლეხ-კაცობა ცნობის მოყვარეობით სინჯავდა ამ უცხო შავს გროვას, მაგრამ არას ერჩოდა. პირიქით, ერთი ყმაწვილი აძვრა ბლის ხეზედ, საიდგანაც დაუწყო იმათ პატარა ბავშვებს მწიფე ბლის სროლა და ისინიც ხარბად იტაცებდენ ხილს; მაგრამ აკი უეცრივ საიდანღაც გამოტყვრა გამოჩენილი საძაგელი ცხენის ქურდი ბარბაშკა, რომლისაც ყველას ეშინოდა და შევარდა მაყურებელ ხალხის გროვაში.

— რას დაგიჭყეტიათ ეგ თვალები, იქნება გინდათ, რომ მაგათ მოსწამლონ ეს ჭა და აწვალონ თქვენი შვილები? თუ ამისი არ გეშინიათ, ცოდვისა მაინც გეშინოდეთ, განა საძაგლება მიიღოთ თქვენ ეს უსჯულონი, რომელთაც ქრისტე ჯვარს აცვეს? კი არ უნდა მიიღოთ, უნდა სდევნოთ, ტყავი გააძროთ და, რადგანაც ჩვენ სოფელში გამოიარეს, უნდა ბაჟი წაართვათ. ბარბაშკოს სიტყვებმა ძალიან იმოქმედა. ხალხის გროვამ დაიწყო ყაყანი, ჩოჩქოლი და მუქარით მიიწიეს ურიებზედ.

— თქვენ, ეი, გესმით! —გამოვიდა ხალხიდამ ერთი ხნიერი კაცი და დაუყვირა:—გასწით აქედგან და დაიკარგენით თქვენის ნებით, მხოლოდ წინ და-წინ თითო მანათი თეთრი ფული გადიხადეთ სულზედ და დაიხსენით თქვენი თავი.

— რად უნდა გადვიხადოთ? —ჰკითხა ერთმა თმა გათეთრებულმა, წელში წახრილმა მოხუცმა რაბინმა; და თუნდა კიდეც ეგრე იყოს, როგორც ამბობ, ჩვენ არაფერი არა გვაბადიარა. განა ვერ გვატყობთ, რომ ჩვენ გაცარცულნი, აკლებულნი და გამოგდებულნი დავდივართ და სიცოცხლის მეტი აღარა დაგვრჩენია რა. ღვთის გულისათვის, გთხოვთ გვაჭამეთ რამე და მოგვეცით ნება, რომ დავისვენოთ ამ ხრიოკ ალაგას; ჩვენ დაგლოცავთ ამისათვის თქვენცა და თქვენ შვილებსაც და დიდის მადლობით წავალთ ამალამვე აქედამ.

— გიცნობთ, გიცნობთ, რა შვილებიცა ბძანდებით! სიტყვა გააწყვეტინა ბარბაშკომ, ნუ იკატუნებთ თავსა. განა ცოტანი მოგიტყუებიათ?... ბევრს ნუღარ ლაპარაკობთ, ჩქარა მოგვეცით ფული და ჯანაბას თქვენი გზა!

— აჰა გაგვჩხრიკეთ, თუ არა გჯერათ,—წამოიძახეს რამდენთამე.

— თქვენ კიდევ ხმას იღებთ და ვაჭრობთ! —დაუყვირა ბარბაშკომ; აბა ბიჭებო! და თითქო მართლადაც ამას ელოდენ, გაშმაგებული ხალხი ფიცხლავ ჩაჯდა იარაღში, კაცებმა დაავლეს ხელი ორთითებს, ქალებმა და ბავშვებმაც-კი ქვებსა სტაცეს ხელი; უბედური ნაცემ-ნატყეპი და ქვით დევნული ხალხი გაიქცა, მაგრამ საით? მთელი ქუჩა სავსე იყო მტრითა და ყველა გზები შეკრული ჰქონდათ, ასე რომ საწყლებს ერთი თავის შესაფარი-ღა დარჩათ—ეს შესაფარი იყო სასაფლაოვო, რომელსაც ჰქონდა შემორტყმული დაბალი გალავანი; ამ დროს ალაყაფის კარები, რომლის თავზედაც მოჩანდა ჯვარი, ღია იყო და ხალხის გროვამ იქ შერეკა ეს საცოდავები, რომ ღვთის წინ ცემატყეპით ამოეწყვიტათ საწყლები. მაგრამ ამ დროს ეკლესიის კარებში გამოჩნდა მოხუცებული ჭაღარა მღვდელი ჯვრით ხელში.

— შეჩერდით უგუნურებო! შეჰყვირა მან, მოიგონეთ ის სჯული, რომელსაც მე თქვენ გიქადაგებთ ქრისტეს სახელით; განა თქვენ თათრები ხართ, რომელთაც ღმერთი არა სწამთ?

— მაშ ფული მოგვცენ, საზარლად შესძახა ხალხმა ერთბაშად.

— არც ერთი ნაბიჯი არ წამოდგათ წინ, განაგრძელა მღვდელმა, მაღალის და აღელვებულის ხმით. თქვენ არღვევთ მაცხოვრის მცნებას, თქვენ ივიწყებთ, რომ ის იტანჯა და მოკვდა მთელის ხალხისათვის: როგორც თქვენთვის, ისე ამათთვის; თქვენ-კი თაკილობთ და უარ-ჰყოფთ იმის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართლა ძვალსა და რბილში აქვს მას გამჯდარი სწავლის საჭიროების აზრი, — აუცილებლად და უეჭველად ახლავე, დაუყოვნებლივ უნდა შეუდგეს სკოლის შენობის მოპოების საქმესაო; საზოგადოებაში რაღაც ჩოჩქოლი და ცხარე ლაპარაკი შეიქმნა. ეს ჩოჩქოლი იმით დაბოლოვდა, რომ თვით საზოგადოებამ დაინახა ბ. ჟიფიანის აზრის საფუძვლიანობა და გარდასწყვიტა: ვინც მართლა თანაუგრძნობს სკოლის საქმეს, — აი, ახლავე დაამტკიცოს შეძლებისამებრ შეწირულობითაო. გამართეს ხელის-მოწერა, და სკოლის სასარგებლოდ საკმაოდ ფული იქმნა მოგროვილი. მოგვყავს სია შემწირველთა: თ. მ. დადიანმა 100 მან. 2) ი. დადიანმა — 100 მან. 3) დ. დადიანმა 10 მან. 4) ბ. ფალავამ 10 მან. 5) მიხ. ფალავამ 10 მან. 6) პ. ფალავამ 5 მან. 7) დ. ჩიჩუამ 10 მან. 8) ლ. ჩიჩუამ 40 მან. 9) დ. მხეიძემ 10 მან. 10) ფ. აფაქიძემ 10 მან. 11) ბ. აფაქიძემ 10 მან. აზნაურთა 12) გ. გამსახურდიამ 10 მან. 13) კოსტა ჭოლიამ 10 მან. 14) რ. ნაჭყებიამ 10 მან. 15) ე. ჯაიანმა 5 მან. 16) ს. ჯოლიამ 5 მან. 17) ბვადა თოფურიძემ 10 მან. 18) ს. თოფურიძემ 5 მან. 18) გ. თოფურიძემ 5 მან. 19) გ. თოფურიძემ 10 მან. 20) გ. თოფურიძემ 10 მან. 21) პი თოფურიძემ 5 მან. 22) ვ. თოფურიძე 5 მან. 23) პ. მატახერიამ 10 მან. 24) ი. კაზირიამ 5 მან. 25) გურიიდგან არნ. ი. ჟორდანიამ 10 მან. 26) ფ. შამშე თოფურიძის ქვრივმა 8 მან. 27) დ. ანჯაფარიძემ 5 მან. 28) ე. ბაგუამ 5 მან. 29) ალექსი მელიამ 25 მან. 30) ლ. ჯინორიძემ 10 მან. 31) ტ. ბაბუნიამ 10 მან. 32) ქუქუჩა ხაინდრავამ 5 მან. 33) ლ. ხაინდრავამ 5 მან. 35) კოტატი ანჯაფარიძემ 5 მან. და 36) გ. დადიანმა 25 მან. სრულიად 530 მანეთი მოგროვდა სკოლის შენობის სასარგებლოდ ხუთმეტის წამის განმავლობაში. ხელის-მოწერის გათავების შემდეგ აქვე წარმოითქვა აზრი და სურვილი, რომ მერმისისათვის უთუოდ მიჰბაძონ ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობას და დააწესონ სკოლის გარდასახადი. იმ ხელის-მოწერის გასაგრძელებლად, რომლის სია აქ მოვიყვანეთ, და საზოგადოდ სკოლის შენობისათვის ფულის მოსაკრებად ორ-ორი — სამ-სამი კაცი იქმნება ამორჩეული თვითოეულს გვარეულობაში. დანაშთენ შემომწირველთა სია თავის დროზედ დაიბეჭდება „დროებაში“. სკოლის შენობასვე აღუთქვა ძველ — სენაკის პატივ-ცემულმა საზოგადოებამ ქვა-კირი უსასყიდლოდ. ყველა ზემო-მოყვანილ ღირს სახსოვართა სიტყვათა აზრთა და გარდაწყვეტილებათა შემდეგ, როდესაც საზოგადოებამ აღასრულა ყველა საზოგადო მოვალეობანი, — იგი გაემართა სკოლის შენობისაკენ, რომელშიაც მშვენიერი და უხვი სადილი იყო მომზადებული ძველი-სენაკის პატივცემულ და სტუმრის მოყვარე რამდენთამე მასპინძელთაგან.

სადილმა მხიარულად ჩაიარა. სხვათა ოფიციალურ სადღეგრძელოთა შორის, „წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ გაძლიერების და გავრცელების სადღეგრძელოც დაილია; არ დაივიწყეს აგრეთვე ყველა ჩვენის განათლებისათვის მზრუნველნი და თანამგრძნობნი. ყველა ეს სადღეგრძელონი შემკობილნი იყვნენ „მრავალ-ჟამიერის“ მღერით.

სადილი გათავდა და ხალხმა გარედ გასვლა იწყო. მგალობელ მომღერალთ გააცილეს ხალხი კახურის „ორ-პირულითა“ (მაყრული).

დღესასწაულზედ ზოგიერთნი განგებ მოწვეულნი პირნი არ დაესწრნენ. აგრეთვე ტბილისიდგან არავინ ჩამოვიდა. ეს სკოლა, როგორც ვიცით, ქუთაისის სკოლასთან ერთად „წერა-კითხვის საზოგადოებას“ ექვემდებარება და მისი წარმომადგენელი კი არავინ დაესწრო სკოლის კურთხევაზე. თვით საზოგადოებაც ცოტა არ იყოს უკმაყოფილო იყო ამ გარემოებით; თითქოს არ გვკადრულობენ ტბილისელნიო.

დასასრულ, სულითა და გულითა ვისურვებთ ახლად გახსნილის სკოლის გაფართოებას და ყოველის მხრით წარმატებასა; ვისურვებთ, რომ სამეგრელოს თავად-აზნაურთა მაგალითით სხვა ჩვენის ქვეყნის მაზრათა საზოგადოებათაც გაეხსნათ სათავად-აზნაურო სასწავლებელთა განყოფილებანი და ისე წარემართოთ მათი საქმე, როგორც ისურვა და ინატრა სამეგრელოს თავად-აზნაურობამ! პატივი და დიდება ძველის-სენაკის საზოგადოების იმ ნაწილსაც, რომელმაც საკუთრად თავის ხარჯით დაუქირავა სკოლას სახლი და რომელიც კვლავაც ჰპირდება შეწევნას სკოლასა! ბოლოს ვისურვოთ, რომ ამისთანა დღესასწაულები, რომელზედაც შეკრებილი საზოგადოება გამსჭვალულია ერთის აზრით და ერთის კეთილის მიმართულებით, ხშირი ყოფილიყოს ჩვენს ქვეყანაში!

რ. მამსაშვილი — ც.

## რუსეთი

სრულიად რუსეთი ემზადება თვისის უხუცესთ უხუცესის მიტროპოლიტის ისიდორეს იუბილეისათვის. ამ თვის 11-ს გახდება სწორედ 50 წელი, რაც პეტერბურგის და ნოვგოროდის მიტროპოლიტი ისიდორე მსახურებს არქიერის თანამდებობით. თითქმის ყველა ეხლანდელი რუსების არქიერები ამ უხუცესის მიტროპოლიტისაგან არიან ნაკურთხნი და ხელდასხმულნი. პეტერბურგის ახლო-მახლო გუბერნიებიდამ 40-მდე არქიერს მიელიან პეტერბურგს იუბილიარის მისალოცავად. ს. — პეტერბურგის ეპარქიის სამღვდელოება იუბილეის დღეს მიართმევს მიტროპოლიტს 80,000 მან, რომელიც ხელის მოწერით მოგროვდა უადგილო მღვდლებისა და სხვა ეკლესიის მსახურთა და ამათ ქვრივ-ობლებისათვის თავ-შესაფარის ასაშენებლად იოანე წინამორბედის ეკლესიის მახლობლად ლიგოვკაში.

—

გასულის თვის 28-ს პეტერბურგში ვოლკოვის სასაფლაოს ეკლესიაში გადუხდიათ პანაშვიდი რუსეთის დიდებული მწერლის ი. ს. ტურგენევის მოსახსენებლად. პანაშვიდზე ერთობ ცოტა ხალხი დასწრებია.

—

გაზ. „ნოვოსტი“ — ს სიტყვით 1885 წლის იანვრის 1-დამ დიდი ცვლილება მოხდება გზათა სამინისტროშიო. დროებით მართველობა რკინის გზებისა და დეპარტამენტი რკინის გზებისავე შეერთებული იქმნებიან ერთად; ინსპექცია-კი რკინის გზებისა განკერძოებულ დაწესებულებად გადაიქცევა და უფროსის ინსპეკტორის უფლებანი აღდგენილ იქმნებიან ხელ-ახლად.

## უცხოეთი.

—

### გროვერ კლიველენდი

პრეზიდენტი ამერიკის შეერთებულის შტატებისა.

კლიველენდმა გაიმარჯვა. თვისს მოპირდაპირეს, რესპუბლიკელების კანდიდატს ბლენს 219 ხმის უმეტესობით აჯობა კლიველენდმა. აბრაამ ლინკოლნის აქეთ ამდენი ხმა, რამდენიც კლიველენდმა მიიღო ერთსკან-

---

ბრძანებას, — რომ გიყვარდეთ მოყვასნი თქვენნი; მაშ იმანაც, სიყვარულისა და მოწყალებისათვის განხორციელებულმა, უარი-გყოთ და დაგივიწყოთ, თქვე ულმერთოებო, ისე, როგორც თქვენ უარ-ჰყავით ეს უბედურნი თქვენნი ძმანი?

ათრთოლებული ხმა მოხუცისა შესწყდა და განჰქრა ჰაერში. შეშინებულმა ხალხმა უკან დაიწია. უბედურმა ურიებმა ისარგებლეს ერთი წამის მშვიდობიანობით და საჩქაროდ შეცვივდენ სასაფლაოს გალავანში, მაგრამ როგორც-კი უკანასკნელი მათგანი შევიდა გალავანში, მაშინათვე ეს გაშმაგებული ხალხი უფრო მეტის სიბრაზით ეცა ამ საწყალ გაქცეულ ხალხს და დაუწყო საშინლად ქვის სროლა. სულის აღმაშფოთებელი გოდება და კვნესა დაერთო ამ ამბავსა; მაშინ მოხუცმა მღვდელმა სისწრაფით და გულადად გაალო კარი ეკლესიისა:

— აქ მოდით უბედურნო, თქვენ გეძახით ის, რომელიც ყოველთვის იყო, არის და იქნება — მფარველი ყველა უარ-ყოფილთა და დევნილთა; მოდით იმასთან, ის დაგამშვიდებთ და ნუგეშსა გცემთ. სახტად დარჩომილი გროვა, განცვიფრებული შეჰყურებდა ამ ნაცემ ებრაელთა და ჰხედავდა, როგორ თითო-თითოდ იმალებოდენ საყდრის კარების უკან, რომელიც მხოლოდ, მაშინ მოიკეტა, როდესაც ებრაელნი სრულად შევიდენ.

— ეხლა-კი თქვენ მოგმართამთ, როგორც უსჯულოთ და ღვთის უარის მყოფელთ, განაგრძო მღვდელმა: თქვენ ვერ გაამართლეთ სწავლა და მოძღვრება ქრისტესი, ახლა იცოდეთ, რომ იმანაც უარ-გყოთ თქვენ; ამას იქით თქვენ განიდევნებით, ვითარცა ულირსნი ამ ღვთის სახლიდგან, და ვერ დაბრუნდებით, ვიდრე არ მოინანიებთ თქვენ საზარელ საქციელს; ამ სიტყვებით მოხუცმა ჩაკეტა სასაფლაოს ალაყაფის კარები და თითონაც იქ დარჩა. ზარ-დაცემული ხალხი რამდენიმე წუთის განმავლობაში იდგა გაუნძრევლად. შემდეგ თავ-ჩაღუნულნი, შერცხვენილნი, ასე რომ ერთი ერთმანეთს სირცხვილით ველარ უყურებდენ, ჩუმად წავიდ-წამოვიდენ თავიანთ სახლებში და ჩრდილივით განქრნენ... მღვდელმა-კი ამ დროს უბძანა, რომ ცეცხლი დაენთოთ სასაფლაოზედ, დაეკლათ დეკეულნი და წვრილნი საკლავნი, მოეტანათ რძე და პური, და ამით დაეძღო უბედურები.

შუადღე შეიქნა, მაგრამ ეკლესიის ზარების ხმა არ ისმოდა, დასაღამოვამდა და არც მაშინ ისმოდა მათი ნუგეშის მომცემი ხმა; მეორე ღამემაც ამ გვარად გაიარა. დაწყევლილი სოფელი რაღაც სევდამ მოიცვა. მოვიდენ საყდარში ყმაწვილის მოსანათლავად და მღვდელმა კარები არ გაუღო; მოვიდენ მეფე-დედოფალი მაყრებითა და სტუმრებითა, სთხოვდენ დაქორწინებასა, — მღვდელმა უარი განაცხადა. მოიყვანეს მიცვალებული დასამარხავად — მღვდელმა არც ისინი მიიღო. სამი დღე და სამი ღამე გაატარა ამ საწყალმა დევნილმა ხალხმა სასაფლაოზედ, სამი დღე და სამი ღამე ეწვალებოდენ სოფლელებიც. მეოთხე დღეს მღვდელთან გამოცხადდა სოფლის მამასახლისი და დიდის ვედრებით გამოუცხადა მღვდელს, რომ ხალხს უნდა მონანიებაო.

— მადლობა ღმერთსა, წარმოსთქვა მოხუცმა, მე მეტი არაფერი მინდოდა თქვენგან, და არც არაფერს ვთხოულობდი.

იმავე საღამოს, გლეხ-კაცებმა მოჰკრიფეს სამლოთო და ფეხ-წინ მიართვეს განდევნილებს. შემდეგ ჩასხეს ისინი ჩასაჯდომებში და თითონ თავის ფეხით გააცილეს მეორე ქალაქამდე, სადაც მათ დახვდათ თავის მოძმენი სარწმუნოებით, რომელთაც ისინი მიიღეს თავის მფარველობის ქვეშ.

მაგრამ განა დიდხანს გაგრძელდა იმათი დამშვიდება?!

ლ — ი — ზ — ა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



დიდატს არ მიუღია ჯერ. ბლენი დამარცხდა და დღეს მძიმე ავადმყოფია.

ახალი პრეზიდენტი კლიველენდი 44 წლის კაცია. სწავლა მიიღო მან ნიუ-იორკში. 1879 წელს კლიველენდი გარდასახლდა ქ. ბუფფალოში და ადვოკატობას მიჰყო ხელი და ამავე დროიდამ ერეოდა ხოლმე პოლიტიკურს საქმეებში; ამ ასპარეზზე შესანიშნავის სისწრაფით წაიწია წინ. 1881 წელს იგი აირჩია ბუფფალომ ქალაქის თავად. 1882 წელს არჩეულ-იქმნა ნიუ-იორკის გუბერნატორად. ამ თანამდებობის აღსრულებას გასულის 1883 წლის იანვრის პირველიდამ შეუდგა. და ამ მდგომარე წელს იგი წამოაყენა ჩიკაგოს დემოკრატიულმა კავშირმა თვის კანდიდატად. კლიველენდი ცნობილია, როგორც კეთილი და პატიოსნებით სავსე კაცი და ამ თვისებით მან დაიმსახურა ღრმა პატივის-ცემა ხალხისა, ეს არის ბეჯითი და მოუსყიდველი გვარი. მხოლოდ ამ თვისებათა წყალობით შეიძინა მან ეს აუარებელი მომხრენი, თორემ ადრე შესანიშნავი არა მოუმოქმედნია რა. კლივლანდის ამორჩევით როგორც უცხოეთელი გაზეთები იწერებიან, ბოლო მოეღება სახელმწიფო ხაზინის ცარცვა-გლეჯასაო. თვით ამორჩევა მისი არის პოლიტიკური საქმე: ეს გამარჯვებაა პატიოსნებისა და კეთილისა ბოროტების წინააღმდეგ.

## ტელეგრამები

(„ჩრდილოეთის სააგენტოსი“)

ნოემბრის 7-ს.

**პეტერბურგი.** ხმებია, რომ კოხანოვის კომისიაში მოუწვევიათ სახელმწიფო რჩევის წევრი ლიუბოშჩინსკი, როგორც განვითარებული პირი გლეხთა სასამართლოების საქმეებში.

**სტამბოლი.** ათინიდამ ჩამოსულმა აქ დ. მ. პავლე ალექსანდრეს-ძემ გუშინ ისადილა ხონთქართან; დღე იმათ კიდევ ინახულეს ერთმანერთი და შემდეგ დ. მ. წავიდა ოდესაში.

**პარიჟი.** გუშინ, საღამოს 6 საათამდის 30 კაცი მოკვდა ხოლერით.

## ცნობანი

**საავადმყოფოს დირექტორი ბ ნი ევრმიშევი** ამით აცხადებს, რომ ქ. თბილისის მოქალაქეთა მიერ გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის დაარსებულს საავადმყოფოში 1866 წლის აპრილის 4-ის მოსაგონებლად შემოღებული არის მცხოვრებთა შელავათისათვის ღამღამობით მორიგად ყოფნა ბბ. ექიმთა და ბებიათა.

**ექიმები:**

**არუთინიანი**, ორშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით.

**კორონა**, სამშაბათობით და შაბათობით.

**მელიქ-ფარსადანოვი**, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

**ბებიები:**

**ფილჩაკოვისა**, სამშაბათობით.

**ბაგინოვისა**, ორშაბათობით, და პარასკევობით.

**სტეფანოვისა**, ოთხშაბათობით და შაბათობით.

**ლოქშისა.** ხუთშაბათობით და კვირაობით.

სამკურნალოში, რომელიც თბილისის მოქალაქეთ დაარსეს სახსოვრად 4 აპრილისა 1866 წლისა, ავად-მყოფნი მიიღებიან დილის 8 საათიდამ 12 საათამდინ.

ყოველ დღე მიიღებენ ამ სამკურნალოში ავად-მყოფებს შემდეგი ექიმები: ტერ-გრიგორიანცი—8 საათიდამ 9 საათამდინ. საბებიო, საქალებო და საბავშვო ავადმყოფობის საწამლეულად; ადამიანცი—9-დამ 10-საათამდე შინაგან და ნერვულ ავადმყოფობათა საწამლეულად; ბენკლევსკი—10—11 საათამდე.—სახირურგო, სასიფილისო ავადმყოფობის წამლობისათვის და აგრეთვე კბილისა და ყურის ტკივილის საწამლეულად; შტემბორსკი 11—12 საათამდე სიფილისისა და სხეულზე გამოყრილი მუწუკების წამლობისათვის. ამას გარდა: გარალევიჩი ორშაბათობით 9—10 საათამდე შინაგან ავადმყოფობის წამლობისათვის; კორონა ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით შინაგან ავადმყოფობათა წამლობისათვის 10—11 საათამდე; მინკევიჩი სამშაბათობით და პარასკევობით 9—10 საათამდე ხირურგიული ავადმყოფობისათვის; ხამჩინსკი სამშაბათობით და შაბათობით 11—12 საათამდე თვალის ტკივილის საწამლეულად; კრასნოგლიადოვი ორშაბათობით და პარასკევობით 10—11 საათამდე შინაგან ავადმყოფობათა წამლობისათვის; ვოლფსონი კბილის ტკივილის საწამლეულად მიიღებს თავის სახლში ყოველთვის ღარიბ ავადმყოფებს, რომელთაც სამკურნალოდამ ბარათი ექმნებათ.

### მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელდა-ხელ 1 ნოემბრიდამ 1 დეკემბრამდე 1884 წ.

| | | | |
|---|---|---|---|
| გამომცხვარი პური რუსეთის ფქვილისა— | —1 | გირ. | 5 კ. |
| ახალციხის ფქვილისა: პირველის ხარისხისა— | —1 | გ. | $2^1/_2$ |
| მეორისა— | —1 | გ. | 2 კ. |
| იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი: | | | |
| პირველი ხარისხის | —1 | გ. | $4^1/_2$ |
| მეორისა— | —1 | გ. | 3 კ. |
| მესამისა— | —1 | გ. | $2^1/_2$ |
| ჯვარის-მამი პური: | | | |
| პირველი ხარის. ლავაში | 1 | გ. | $4^1/_2$ |
| მეორის ხარის. ლავაში | 1 | გ. | $3^1/_2$ |
| მესამისა— | —1 | გ. | 3 კ. |
| ძროხის ხორცი: | | | |
| პირველის ხარისხისა | —1 | გ. | 7 კ. |
| მეორისა— | —1 | გ. | 6 კ. |
| სუკი . . . | —1 | გ. | 14 კ. |
| ცხვრის ხორცი | —1 | გ. | 7 კ. |
| ღორის ხორცი: | | | |
| პირველის ხარისხისა | —1 | გ. | 7 კ. |
| მეორისა— | —1 | გ. | 6 კ. |

### რკინის გზა

თბილისიდამ ბათუმისკენ მიდის
8 საათზედ და 31 წამ. დილით
თბილისიდამ მარტო ხაშურამდინ
3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.
თბილისიდამ ბაქოსკენ
10 საათზედ და 45 წამ. დილით.
(სამშაბათობით და შაბათობით საჩქარო 10 ს. 58 წ. ღამ.)
ქუთაისიდგან თბილისისკენ
12 საათზ. და 25 წამ. შუადღ. უკან.
ქუთაისიდგან ბათუმისა და ფოთისკენ
5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.
ბათუმიდგან თბილისისკენ
8 საათ. დილით.
ფოთიდგან თბილისისკენ
8 საათ. და 45 წამ. დილით.
ფოთიდამ და ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის
10 საათზედ და 25 წამ. ღამით.
მარტო ხაშურიდამ მომავალი თბილისში შემოდის
8 საათზედ დილით
ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში
2 საათ. და 30 წამ. შუადღის უკან.
(სამშაბათობით და პარასკევობით საჩქარო 7 ს. 53 წ. დილ.)

## განცხადებანი

**რეცოლდის პანსიონში**

იღებენ შეგირდებს მუდამ მთელის წლის განმავლობაში და ამზადებენ ყველა საშუალო სასწავლებლებში შესასვლელად. (4—3)

**ძმ. ჭილაძეთა წიგნის მაღაზია**

## ქუთაისში

აცნობებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ მან საკუთრებად შეიძინა მთელი გამოცემა აკაკის განთქმული პოემის **თორნიკე ერისთავისა**, რომელიც იყიდება მხოლოდ ამ მაღაზიაში, ეკზემპლიარი თითო მანეთად. იქვე იყიდება ყველა ქართული გამოცემანი, სხვათა შორის: სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონი, ვის-რამიანი, თ. გ. ერისთვის თხზულებათა კრება ჩინებულს ყდაში და სხ.; ყოველ-გვარი სახელმძღვანელოები ქართულს და რუსულს ენაზე, სასწავლო და საკანცელარიო კუთვნილებანი. ამავ მაღაზიამ შეიძინა უფლება და შეუდგა გამოცემას ჩვენი ორი დიდი პოეტის **ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის** თხზულებათა კრებისას. (10—1)

დაიბეჭდა და ისყიდება
გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში, თხზ. ანტ. ფურცელაძისა, წიგნი მეორე, რომელშიაც სხვათა შორის დაბეჭდილია ტრაგედია

**დიდა მოურავი**

გამოცემული
ზ. ჭიჭინაძისაგან
ფასი ერთი მანათი.

**გამოვიდა და ისყიდება**

## ელისო

მოთხრობა ჩვენელთ ცხოვრებიდგან
თხზულება
ა. მ. მოჩხუბარიძისა.
ფასი 25 კაპ.

ისყიდება თბილისში: გრიქუროვის წიგნების მაღაზიაში და არწრუნისეულს სათეატრო კასაში ქუთაისში: ჭილაძის წიგნის მაღაზიაში; ფოთში: ხუმარაძის მაღაზიაში; ბათუმში: მასწავლებელს ბატ. მოსე ნათაძესთან; ოზურგეთში: ბ. ილურიძესთან; ახალციხეს: ბ. ნ. ალექსეევ-მესხიევთან; გორში: ბ. ნ. ლომაურთან და ბ. ს. მგალობლოვთან; თელავში: ბატ. ვ. როსტომაშვილთან.

იბეჭდება და ამ მოკლე ხანში გამოვა ამავე ავტორის თხზულებანი: **ელგუჯა**, ისტორიული მოთხრობა. **არსენა**, დრამა 3-ს მოქმედებად. დილა ქორწილის შემდეგ, კომ. 1-ს მოქმედებად და „თხზულებანის“ პირველის ტომის, პირველი ნაწილი. (20—9)

დაიბეჭდა და ისყიდება
გრ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში,
ბიოგრაფიული ცნობანი

**შოთა რუსთაველზე**

(რუსთველის სურათით)
გამოცემული
კონსტანტინე მესხიევისაგან.
ფასი 30 კაპიკი.

გამოვიდა და ისყიდება
ყველა წიგნის მაღაზიებში
ახალი წიგნი

**არითმეტიკა**

სახელმძღვანელოდ სოფლის სასწავლებელთათვის, შედგენილი მიხეილ ზაალის-ძის ყიფიანისაგან.
ფასი 80 კ. გაგზავნით 1 მან.
(10—9)

Доз. ценз. Тифлисъ, 7 Ноября 1884 г. სტამბა არ. კალანდაძისა და ამხ. გამომცემელი გ. ქართველიშვილი. რედაქტორი Ი. მაჩაბელი.